ეს ადამიანები არიან ისინი, რომლებიც, როცა მათი რიგებიდან მართალი მონა (ან: მართალი ადამიანი-წმინდანი) გარდაიცვლება, მის საფლავზე ტაძარს აშენებენ

გადმოცემულია აიშასაგან მორწმუნეთა დედისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): უმმუ სალამამ შუმავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ახსენა ეკლესია, რომელიც ნახა ჰაბაშას ტერიტორიაზე (ეთიოპია), რომელსაც სახელად მარიაჰ ეწოდებოდა, მან გაიხსენა ის სურათები (ხატები), რაც მასში დაინახა. ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ეს ადამიანები არიან ისინი, რომლებიც, როცა მათი რიგებიდან მართალი მონა (ან: მართალი ადამიანი-წმინდანი) გარდაიცვლება, მის საფლავზე ტაძარს აშენებენ და მას მსგავსი გამოსახულებებით ამკობენ. ასეთი ადამიანები არიან ყველაზე უარესნი ალლაჰის წინაშე!».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მორწმუნეთა დედამ, უმმ სალამამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), უამბო მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ ეთიოპიაში ყოფნისას მან იხილა ეკლესია, რომელსაც „მარია“ ეწოდებოდა და რომელიც მოხატული იყო სურათებითა და გამოსახულებებით. და ამან იგი გააკვირვა. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა ამ სურათების (ხატების)შექმნის მიზეზი. და თქვა: ისინი, ვისზეც შენ საუბრობ, როდესაც წმინდა ადამიანი მათ შორის გარდაიცვლებოდა, მის საფლავზე აშენებდნენ მეჩეთს, სადაც ლოცულობდნენ, და იქ გამოსახავდნენ სურათებს. ასევე განმარტა, რომ მსგავსი რამის ჩამდენი უზენაესი ალლაჰის წინაშე ყველაზე საშინელი საქციელია; რადგან მისი ჩადენილი ქმედება უზენაესი ალლაჰისთვის მოზიარის დადგენისკენ მიმავალი გზაა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/10887